ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სკანდინავისტიკა** **Scandinavian Studies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **სკანდინავისტიკის მაგისტრი/Master of Scandinavian Studies** სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კვლევის მაგისტრი სკანდინავისტიკაში / Master of Research in Scandinavian Studies**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 45 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 15 ECTS კრედიტი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 25 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 5 ECTS კრედიტი • სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	კახაბერ ლორია- თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, ამავე ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: • ბაკალავრის ხარისხი; • ერთიანი სამაგისტრო გამოცდა; • ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (აპლიკანტებს, რომლებსაც საბაკალავრო საფეხურზე განათლება მიღებული აქვთ

	ინგლისურ ენაზე, უცხო ენის გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ). • სასპეციალიზაციო გამოცდა „სკანდინავიისმცოდნეობის საფუძვლები“. • უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებად მათ მიერ ქართული ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარებას. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ **სკანდინავისტიკის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია** • შეასწავლოს მაგისტრანტს ნორვეგიული ან/და ფინური ენა საშუალოზე მარტივ დონეზე (A2) • მისცეს სტუდენტს სკანდინავიის ქვეყნების (ნორვეგია, დანია, ისლანდია) ლიტერატურათა სისტემური ცოდნა. • მისცეს მაგისტრანტს სისტემური ცოდნა სკანდინავიის რეგიონის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესახებ პრეისტორიული დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე • მისცეს მაგისტრანტს სისტემური ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების ძირითადი პოლიტიკური პარტიების და ამ სახელმწიფოთა ჯანდაცვისა და სოციალური, აგრეთვე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პოლიტიკის შესახებ. • გამოუმუშაოს მაგისტრანტს პროგრამის განმავლობაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები; • სკანდინავისტიკის დარგში ფართო ცოდნის მინიჭებასთან ერთად მოამზადოს კადრი აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და პრაქტიკული უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას. **სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია**

	• შეასწავლოს მაგისტრანტს ნორვეგიული ან/და ფინური ენა საშუალო დონეზე (B1). • მისცეს სტუდენტს სკანდინავიის ქვეყნების (ფინეთი, შვედეთი) ლიტერატურათა ღრმა, სისტემური და კომპლექსური ცოდნა. • მისცეს მაგისტრანტს ღრმა და კომპლექსური ცოდნა სკანდინავიის რეგიონის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესახებ მეცხრამეტე საუკუნიდან თანამედროვე პროცესებამდე. • მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის შესახებ. • მისცეს მაგისტრანტს ცოდნა სკანდინავისტიკის ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების შესახებ; შეასწავლოს მას კვლევითი ნაშრომის დაგეგმვის, აგებისა და წარმოდგენის პრინციპები. • სკანდინავისტიკის დარგში ფართო ცოდნის მინიჭებასთან ერთად მოამზადოს კადრი აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებასა და მომავალ აკადემიურ წინსვლას. პროგრამა ითვალისწინებს სკანდინავისტიკის სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიოში სკანდინავისტური სასწავლო თუ კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე იზრდება ინტერესი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი და მრავალმხრივი პოტენციალი. სასწავლო პროგრამები სკანდინავისტიკის სფეროში არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა, ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა ქართულენოვანია, მაგრამ პროგრამის შედარებითი სიახლიდან და იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ პროგრამა აუცილებელ წინაპირობად არ ითვალისწინებს ბაკალავრის ხარისხს მხოლოდ სკანდინავიურ ფილოლოგიაში და, შესაბამისად, რომელიმე სკანდინავიური ენის ცოდნას, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის დიდი ნაწილი ინგლისურენოვანია. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობად ინგლისური ენის შედარებით მაღალ დონეზე (B2) ცოდნას. სამაგისტრო პროგრამის გავლისას

	სტუდენტი შეისწავლის სკანდინავიის ქვეყნების მინიმუმ ერთ ენას. თსუ-ს სკანდინავიური ფილოლოგიის ძირითადი/დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულებს, გამომდინარე იქედან, რომ მათ უკვე ნასწავლი აქვთ ნორვეგიული ენა შესაბამის დონეზე, სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამაში შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ ფინური ენა. სხვა სტუდენტებს კი შეუძლიათ სავალდებულო ენად აირჩიონ ფინური ან ნორვეგიული ენა, ხოლო სურვილის შემთხვევაში არჩევით საგნად/ საგნებად გაიარონ მათ მიერ სავალდებულო ენად არარჩეული სხვა (მეორე) სკანდინავიის ქვეყნის ენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკანდინავიური მოდგმის ენებიდან ნორვეგიული ე.წ. შუა ენაა და მის მცოდნეს არ უჭირს შვედურისა და დანიურის კითხვა და გაგება.
სწავლის შედეგები	სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: 1. **მიმოიხილავს** და **აანალიზებს** ჩრდილოეთ ევროპის რეგიონისა და სკანდინავიის ხალხების ისტორიას და კულტურას პრეისტორიული პერიოდიდან მეცხრამეტე საუკუნემდე. 2. **ავლენს** ნორვეგიულ ან/და ფინურ ენასთან, შესაბამის სოციოლინგვისტურ და სოციოკულტურულ გარემოსთან დაკავშირებულ რიგ საკითხთა სისტემურ ცოდნას. 3. **მიმოიხილავს** და **აანალიზებს** სკანდინავიის ქვეყნებისა და ხალხების (ნორვეგია, ისლანდია, დანია) ლიტერატურულ ტრადიციებს, საერთო ლიტერატურულ ძირებს და ეროვნული ლიტერატურების წარმოშობას. 4. სკანდინავიის ქვეყნებისთვის აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური საკითხების სისტემური ცოდნის საფუძველზე **აღწერს** და **მიმოიხილავს** სკანდინავიის ქვეყნებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის, სახელმწიფოს მართვის ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებს, *ბ) უნარები* 5. **იყენებს** ნორვეგიულ ან/და ფინურ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციისა და თარგმანის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის, უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის A2 დონის შესაბამისად. 6. თავისუფლად **ორიენტირებს** სხვადასხვა თემატიკის სამეცნიერო ბაზებში, ბიბლიოთეკებსა და ოფიციალურ წყაროებში; მასალის

	მოძიებისას **იყენებს** თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს. **გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 7. **ეყრდნობა** დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს; აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას; ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ. სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: **ა) ცოდნა და გაცნობიერება** 1. **მიმოიხილავს** და **აანალიზებს** ჩრდილოეთ ევროპის რეგიონისა და სკანდინავიის ხალხების ისტორიას და კულტურას მეცხრამეტე საუკუნიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით. **განსაზღვრავს**, **აღწერს** და **მიმოიხილავს** სამიზნე რეგიონის ისტორიულ და კულტურულ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს. 2. **ავლენს** ნორვეგიულ ან/და ფინურ ენასთან, შესაბამის სოციოლინგვისტურ და სოციოკულტურულ გარემოსთან დაკავშირებულ ღრმა, სისტემურ და კომპლექსურ ცოდნას. 3. **მიმოიხილავს** და **აანალიზებს** სკანდინავიის ქვეყნებისა და ხალხების (შვედეთი, ფინეთი) ლიტერატურულ ტრადიციებს და ეროვნული ლიტერატურების წარმოშობას. **განასხვავებს** სკანდინავიის ქვეყნების ეროვნულ ლიტერატურათა განვითარების გზებს და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებს. **აფასებს** სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურებს შედარებით პერსპექტივაში. 4. ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე **განსაზღვრავს, აღწერს** და **მიმოიხილავს** სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ე.წ. სკანდინავიურ მოდელს, ამ საკითხებთან დაკავშირებულ საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს. ***ბ) უნარები*** 5. **იყენებს** ნორვეგიულ ან/და ფინურ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციისა და თარგმანის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის, უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი

	კომპეტენციის B1 დონის შესაბამისად. **6.** აყალიბებს შერჩეულ სასპეციალიზაციო თემაზე კვლევის სტრატეგიას, გეგმავს ნაშრომის სტრუქტურას და აგებულებას. კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით **დამოუკიდებლად ქმნის** აკადემიური სტანდარტების შესაბამის სამეცნიერო ნაშრომს. **7.** კვლევის პროცესში **ახორციელებს** მულტიდისციპლინური წყაროების **ანალიზსა** და **სინთეზს.** 8. **ახდენს** კვლევის შედეგებისა და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრების დემონსტრირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით **ამზადებს** პრეზენტაციას სკანდინავისტიკასთან დაკავშირებული მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინის საკითხთა შესახებ. **მონაწილეობს** პროფესიულ დისკუსიებში. **გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 9. **ამჟღავნებს** დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს სფეროს დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში; 10. **ავლენს** ნაცნობ და უცნობ სასწავლო და სამუშაო გარემოში, სტრესულ ვითარებაში ფიქრის, მსჯელობისა და წერის, სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს;
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს: • ვერბალური მეთოდი, • წიგნზე მუშაობის მეთოდი, • ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, • ჯგუფური მუშაობა, • ევრისტიკული მეთოდი, • როლური და სიტუაციური თამაშები, • დისკუსია/დებატები, • ახსნა-განმარტებითი მეთოდი, • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, • წერითი დავალებები და სხვ. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო

	ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია საუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.
შეფასების სისტემა	პროგრამა განხორციელდება ლექცია-სემინარების, კონსულტაციების, წერითი ნამუშევრების - ესე/რეფერატის წარდგენა/პრეზენტაციით, შუალედური წერითი გამოცდა-კოლოკვიუმებით; სასწავლო პროცესის დამასრულებელ ეტაპზე სტუდენტს ევალება შეასრულოს ანალიტიკური კვლევითი შრომა-სამაგისტრო ნაშრომი. **შეფასების ზოგადი წესი:** სტუდენტის ცოდნა ფასდება 100ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასებახორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემული იქნება კონკრეტულ სილაბუსებში შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი –შეფასების91-100 ქულა; (B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალურიშეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; დ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; ე) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (რეფერატი, ესე, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო სტატია, სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომის საჯარო წარდგენას. მაგისტრანტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს არანაკლებ ოთხ კომპონენტს. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი, ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ **21 ქულა.**

	სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	სკანდინავისტიკის დარგში პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო, მეთოდიკური, მხატვრულ-მთარგმნელობითი და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობა. საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, არასამთავრობო სექტორში; საქმიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ფირმებში; სხვადასხვა კომპანიებში. ყველა იმ პოზიციაზე, რასაც პასუხობს მაგისტრის ხარისხი.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტდენტებისთვის	• საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიუალური რესურსი	პროგრამის კონსულტანტები: მალმეს (შვედეთი) უნივერსიტეტის კულტურისა და საზოგადოების ფაკ-ის სრული პროფესორი **კარინა ვამლინგი** და ამავე უნივერსიტეტის განათლებისა და საზოგადოების ფაკულტეტის ლექტორი **ტერეზა ტომაშევიჩი**; ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი-ემერიტუსი **ფრუდე ჰერმუნდსგორდი.** ბერგენის (ნორვეგია) უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკ-ის პროფესორ-ემერიტუსი **იუსტაინ ბიორტნესი**. პროგრამის ფარგლებში პედაგოგიურ საქმიანობას განახორციელებენ: 1. კახაბერ ლორია - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, ამავე ფაკ-ის სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი 2. თეიმურაზ პაპასქირი - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი 3. მამია სურმავა - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი 4. ზაალ გოგენია - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი 5. ელენე გოგიაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი 6. ლაშა ლორია - თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი 7. დავით სიხარულიძე - თსუ-ს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი 8. მედეა ბადაშვილი - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი 9. ლელა წიფურია - თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი 10. თორნიკე თურმანიძე - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი 11. კახაბერ ყალიჩავა - ისტორიის დოქტორი, მოწვეული პედაგოგი 12. გიორგი ბენაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული პედაგოგი 13. ია გრიგალაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული პედაგოგი 14. ნარგიზა არჯევანიძე - თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, მოწვეული პედაგოგი 15. ია სიჭინავა - თსუ-ს ფილოლოგიის პროგრამის (ქვედარგი-სკანდინავიური ფილოლოგია) დოქტორანტი, მოწვეული პედაგოგი 16. გიორგი ბერიძე - თსუ-ს ფილოლოგიის პროგრამის (ქვედარგი-

	სკანდინავიური ფილოლოგია) დოქტორანტი, მოწვეული პედაგოგი 17. ია ბაკურაძე - მაგისტრი, ფინური ენის მოწვეული პედაგოგი 18. ჰელი ჰარიუ - მაგისტრი, ფინური ენის მოწვეული პედაგოგი 19. დიმიტრი გოგოლაშვილი - მაგისტრი, ფინური ენის მოწვეული პედაგოგი 20. თამარ კვიჟინაძე - მაგისტრი, ნორვეგიული ენის მოწვეული პედაგოგი **მატერიალური რესურსები** ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტსა და თსუ-ს შორის სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი თანამშრომლობის პროექტი სკანდინავისტიკისა და ენათმეცნიერების სფეროში (ერასმუს+ პროგრამა). თსუ-ს მხრიდან აკადემიური საკონტაქტო პირი სკანდინავისტიკის დარგში: პროფ. კახაბერ ლორია ოსლოს უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის თანამშრომლობის (ე.წ. ჩარჩო) ხელშეკრულება /ძალაშია 2006 წლიდან/ მალმეს (შვედეთი) და თსუ-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი (ე.წ. ჩარჩო ხელშეკრულება) /განახლდა 2022 წელს/ სამაგისტრო პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია თსუ-ს ბიბლიოთეკაში ან/და https://e-learning.tsu.ge/ -ის ელქტრონულ პლატფორმაზე. იმავდროულად, თანამშრომლობის სკანდინავიური პროექტების დამსახურებით, თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სკანდინავისტიკის ცენტრს აქვს კარგად გამართული კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, თანამედროვე ვიდეო და აუდიოტექნიკა, მდიდარი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. სკანდინავიის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და ფონდებთან ურთიერთობის წყალობით ხელმისაწვდომია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო, ფაქტობრივად, ნებისმიერი ხასიათისა და დონის სასწავლო, კვლევითი თუ სხვა სახის მასალა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

	პროგრამას მხარდაჭერას უწევს ოსლოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის ლინგვისტიკისა და სკანდინავისტიკის დეპარტამენტსა და თსუ-ს შორის სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი თანამშრომლობის პროექტი სკანდინავისტიკისა და ენათმეცნიერების სფეროში (ერასმუს+ პროგრამა). პროგრამა ფინანსურად მდგრადი და სტაბილურია. უზრუნველყოფილია მისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლა, მუდმივი განახლება და სრულყოფა, სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	პროგრამის საუკეთესო სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სკანდინავიის უნივერსიტეტებში/ უმაღლეს სასწავლებლებში გაიარონ როგორც 4-6 კვირიანი საზაფხულო სასწავლო კურსები, ისე 1-2 სემესტრიანი სტაჟირება (არის მათ მიერ დაგროვილი კრედიტების საქართველოში აღიარების შესაძლებლობაც), ხოლო თსუ-ში სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სადოქტორო პროგრამები სკანდინავიის/ევროპის სხვა უნივერსიტეტების/უმაღლესი სასწავლებლების სკანდინავისტიკის ან მონათესავე პროფილის (ევროპეისტიკა და სხვა) ინსტიტუტებსა და დეპარტამენტებში.